სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დირექტორის ბრძანება № 1

22 ივნისი, 2022 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29^1 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 23^3 მუხლის მე-4 პუნქტის, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 22 ივნისის სხდომის ოქმი № 7-ის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ალექსანდრე მესხი.**

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ინსტიტუტის დირექტორი ნინო ფარცვანია